

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	12
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	12
2.6 ჯგუფის წილი შვილობილ ჯგუფში	13
3 ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკები	14
3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები	14
3.2 უცხოური ვალუტა	14
3.3 ძირითადი საშუალებები	14
3.4 არამატერიალური აქტივები	15
3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	15
3.6 იჯარა	15
3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16
3.8 ფინანსური ინსტრუმენტები	17
3.9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	19
3.10 კაპიტალი	19
3.11 ანარიცხები	19
3.12 მოგების გადასახადი	20
3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	20
3.14 შემოსავალი	20
4 ძირითადი საშუალებები	22
5 არამატერიალური აქტივები	23
6 აქტივების გამოყენების უფლება	24
7 მარაგები	24
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
9 გაცემული სესხები	25
10 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	26

11	კაპიტალი	26
11.1	საწესდებო კაპიტალი	26
11.2	დივიდენდები	26
12	იჯარა	27
13	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
14	შემოსავალი	29
15	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	29
16	გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები	29
17	ადმინისტრაციული ხარჯები	29
18	ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	30
19	მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	30
20	შემდგომი მოვლენები	30
21	მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	30
21.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	30
21.2	სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები	31
22	ფინანსური ინსტრუმენტები	31
22.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	31
	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31
23	ფინანსური რისკის მართვა	31
24	სამართლიანი ღირებულება	34
25	კაპიტალის რისკის მართვა	34
26	გაუთვალისწინებელი გარემოებები	34
26.1	დაზღვევა	34
26.2	გადასახადები	35
27	დაკავშირებული მხარეები	35
27.1	საკონტროლო ურთიერთობები	35
27.2	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
27.3	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	35
	მმართველობის ანგარიშგება	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამბულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

შპს „ალკორითეილ გრუპ“-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ალკორითეილ ჯგუფისა“ („მშობელი კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის არ გაუმჟღავნებია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, როგორც მოთხოვნილია IAS 24-ის - „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“- შესაბამისად.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და

განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ

პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დამყარებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

თბილისი, საქართველო

13 ივნისი 2025 წელი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი			
	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,449	907
არამატერიალური აქტივები	5	381	146
აქტივების გამოყენების უფლება	6	7,196	3,477
		9,026	4,530
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	29,829	21,274
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,889	1,438
გაცემული სესხები	9	1,485	379
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	10	2,105	2,786
		35,308	25,877
სულ აქტივები		44,334	30,407
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	11	20,079	13,630
სულ მფლობელების კაპიტალი		20,079	13,630
არა მკონტროლებადი წილი			
		(1)	3
სულ კაპიტალი		20,078	13,633
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	4,732	1,083
		4,732	1,083
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	16,467	13,210
საიჯარო ვალდებულებები	12	3,057	2,481
		19,524	15,691
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		44,334	30,407

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს:

რევაზ ფერაძე	ნინო კობახიძე
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი		2024 წლის 31	2023 წლის 31
	მენიშვნა	დეკემბერი	დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,449	907
არამატერიალური აქტივები	5	381	146
აქტივების გამოყენების უფლება	6	7,196	3,477
		<u>9,026</u>	<u>4,530</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	29,829	21,274
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,889	1,438
გაცემული სესხები	9	1,485	379
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	10	2,105	2,786
		<u>35,308</u>	<u>25,877</u>
სულ აქტივები		<u>44,334</u>	<u>30,407</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	11		
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		20,079	13,630
სულ მფლობელების კაპიტალი		<u>20,079</u>	<u>13,630</u>
არა მკონტროლებადი წილი		(1)	3
სულ კაპიტალი		<u>20,078</u>	<u>13,633</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	12	4,732	1,083
		<u>4,732</u>	<u>1,083</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	16,467	13,210
საიჯარო ვალდებულებები	12	3,057	2,481
		<u>19,524</u>	<u>15,691</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>44,334</u>	<u>30,407</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 13 ივნისს:

რევაზ ფერაძე
დირექტორი

h. ფერაძე

ნინო კობახიძე
მთავარი ბუღალტერი

ნ. კობახიძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	14	62,955	56,924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(40,835)	(39,304)
მთლიანი მოგება		22,120	17,620
სხვა შემოსავალი		146	155
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები	16	(11,084)	(9,549)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(3,513)	(2,231)
სხვა ხარჯები		(319)	(219)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები		7,350	5,776
ფინანსური ხარჯები	18	(818)	(403)
ფინანსური შემოსავალი	18	156	154
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, ნეტი	19	(231)	21
მოგება დაბეგვრამდე		6,457	5,548
მოგების გადასახადის ხარჯი/(ანაზღაურება)		(12)	(590)
წლის მოგება		6,445	4,958
წლის მთლიანი სხვა სრული მოგება/(ზარალი)		6,445	4,958

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	აკუმულირებული მოგება	სულ მფლობელების კაპიტალი	არა მაკონტროლებელი წილი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	11,833	11,833	-	11,833
წლის მოგება	4,961	4,961	(3)	4,958
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,961	4,961	(3)	4,958
დივიდენდი	(3,158)	(3,158)	-	(3,158)
ოპერაციები მფლობელებთან	(3,158)	(3,158)	-	(3,158)
2023 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული)	13,636	13,636	(3)	(13,633)
წლის მოგება	6,355	6,355	2	6,445
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,355	6,355	2	6,445
ოპერაციები მფლობელებთან	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი (აუდირებული)	20,079	20,079	(1)	20,078

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		6,445	4,958
კორექტირებები:			
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი		3,501	3,168
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან		231	(21)
ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი, ნეტი		662	249
მოგება/ზარალი იჯარის გასვლიდან		9	-
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში		10,848	8,347
ცვლილებამდე			
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(294)	(80)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში (ავანსები)		(157)	(108)
ცვლილება მარაგებში		(8,555)	(3,983)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,257	823
		5,099	5,006
გადახდილი პროცენტები	12	(817)	(403)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		4,282	4,596
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა		(369)	(46)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(927)	(311)
სესხების გაცემა/დაბრუნება		(1,100)	2,430
მიღებული პროცენტი		150	179
არამატერიალური აქტივების გასვლა		90	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,156)	2,252
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	12	(2,807)	(2,806)
გაცემული დივიდენდი		-	(3,158)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		(2,807)	(5,964)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(681)	891
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	10	2,786	1,895
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		2,105	2,786

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-36 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალკორითილ გრუპ“ (შემდგომში „ჯგუფი“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2017 წლის 12 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 406222859. ჯგუფის რეგისტრირებული მისამართია: გიორგი მდივნის ქუჩა #3ა, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის ალკოჰოლური სასმელების ფართო სპექტრის საცალო ვაჭრობა. ჯგუფი საქართველოში ფლობს ყველაზე დიდ სპეციალიზებული ალკოჰოლური მაღაზიების ქსელს „ალკორითუს“, სასმელების მაღაზიას „ვისკის სახლი“ და „ღვინის სახლს“. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს 67 მაღაზია (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 60 მაღაზია).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აკონტროლებენ მისი წილის მფლობელები:

აქციონერები	წილი %
შპს მარქიტიინ ინვესტმენტს, კვიპროსი	90.00%
სიმონ ესართია, საქართველოს მოქალაქე	5.00%
ლევან ლანდია, საქართველოს მოქალაქე	5.00%

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა ჯგუფის მთლიან ჭრილში 2024 წელს არის 321 თანამშრომელი. (2023 წელი: 252 თანამშრომელი).

ჯგუფს ჰყავს ერთი შვილობილი ჯგუფი – შპს „ევერკრაფტ ინტერნეიშენალი“, რომელიც დაარსებულია მშობელი კომპანიის მიერ.

შვილობილის დასახელება	დაარსების ქვეყანა და საქმიანობის ადგილი	დაარსების თარიღი	მთავარი საქმიანობა	ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილის პროცენტი	
				2024	2023
შპს ევერკრაფტ ინტერნეიშენალი	საქართველო	25-ივლისი-2023	ღვინის პროდუქციის საცალო გაყიდვა	90%	90%

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

უკრაინაში 24 თებერვალს დაიწყო კონფლიქტი, რომელიც სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთის ქვეყნები არსებული სანქციების გაფართოებას განიხილავენ. სანქციების გატარების მყისიერი გლობალური შედეგები იყო მაღალი ინფლაცია, დაბალი ზრდა და ფინანსური ბაზრების გარკვეული შეფერხება.

უკრაინის კონფლიქტმა გამოიწვია ათასობით რუსისა და უკრაინელის საქართველოში გადმოსახლება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებსაც, რომლებიც დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა ამ ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება

ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

რუსეთის არასამართლიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად რეგიონში ბიზნეს გარემოზე და ასევე ჯგუფის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას ჯგუფის ოპერაციებზე.

2 შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია შენიშვნა 21-ში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისათვის და შესაბამისა ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების არსი და გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის

ქვემოთ მოცემულია 2024 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჯგუფის ყოველწლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად (ცვლილებები ბასს 1-ში)
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით (ცვლილებები ბასს 1-ში)
ფასს 7	მომწოდებლის დაფინანსების შეთანხმებები (ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)
ბასს 16	საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ცვლილებები ფასს 16-ში)

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია ჯგუფის

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფის ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან;

ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის ან ინტერპრეტაციის დასახელება, რომელიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.
ბასს 1	გაცვლის შეუძლებლობა (ცვლილებები ბასს 21-ში)
ბასს 1	ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ცვლილებები ფასს 9-სა და 7-ში)
ფასს 18	წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში
ფასს 19	შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები

2.6 ჯგუფის წილი შვილობილ ჯგუფში

შვილობილის დასახელება	დაარსების ქვეყანა და საქმიანობის ადგილი	დაარსების თარიღი	მთავარი საქმიანობა	ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილის პროცენტი
შპს ევერკრაფტ ინტერნეშნალი	საქართველო	25 ივლისი 2023	ღვინის პროდუქციის საცალო გაყიდვა	90%

3 ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მშობელი ჯგუფისა და მისი ყველა შვილობილი ჯგუფის კონსოლიდირებულ მონაცემებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილ ჯგუფის ანგარიშგების თარიღად აქვს 31 დეკემბერი. ჯგუფის შიგნით არსებული კომპანიებს შორის ყველა ოპერაცია და ბალანსი კონსოლიდაციის პროცესში აღმოფხვრილია, მათ შორის დაუმტკიცებელი (არარეალიზებული) მოგებები და ზარალები ჯგუფის შიგნით განხორციელებულ გარიგებებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არარეალიზებული ზარალი ჯგუფურ აქტივზე კონსოლიდაციისას შებრუნდება (reversed), აქტივი ასევე მოწმდება ღირებულების დაკლების (impairment) თვალსაზრისით ჯგუფის მასშტაბით. შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა ჯგუფის მიერ მიღებულ აღრიცხვის პოლიტიკებთან. წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალი და სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი აღიარებულია შეძენის ან გაყიდვის ეფექტური თარიღიდან, შესაბამისობის მიხედვით. ჯგუფი ანაწილებს შვილობილი კომპანიების მთლიან ყოვლისმომცველ შემოსავალს ან ზარალს მშობელი ჯგუფის მფლობელებსა და არაკონტროლირებადი წილის მფლობელებს შორის მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვთვის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვთვის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5 წელი
ავიჯი	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
დაუმთავრებელი მშენებლობა	-

3.4 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვთვის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 15%-იანი განაკვეთით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება განკარგვისთანავე ან, როდესაც აქტივის გამოყენების ან განკარგვის შედეგად მოსალოდნელი არ არის რაიმე მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

3.5 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო ვადა, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად შემოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი წმინდა გასაყიდი ფასისა და გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ოდენობით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 იჯარა

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს იჯარის შეთანხმებებს ძირითადად სავაჭრო მაღაზიების და საწყობების უზრუნველსაყოფად. ჯგუფი არ აფორმებს გაყიდვისა და იჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარაზე მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურად.

ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის ან თუ შეიცავს იჯარას კონტრაქტის დასაწყისში. იჯარა გულისხმობს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივებს სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივით სარგებლობის უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი სარგებლობის უფლებით ფლობილი აქტივებისთვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

ჯგუფიმ აირჩია აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა როგორც საოპერაციო იჯარა. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკავებით, ისევე როგორც საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია ცალკე.

ჯგუფი როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, ჯგუფი ახდენს თავისი იჯარის კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საოპერაციო იჯარად.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო

მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

საქონლის მომწოდებლები კომანიას უზრუნველყოფენ ბონუსებით. მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები, წინასწარ განსაზღვრულ გაყიდვებთან დაკავშირებული ხარისხობრივი ზომების დაკმაყოფილების გამო, პირდაპირ გამოიქვითება გაყიდვების ღირებულებიდან.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფის არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 22-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას;

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას

მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ბასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელმძღვანელო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლავს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელმძღვანელო აქტივებს, რეზერვებს აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელმძღვანელებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმძღვანელო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელმძღვანელო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმძღვანელო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ჯგუფი მოთხოვნების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობს საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 22-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი ალებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფიმ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო განაკვეთით

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს: ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; გადახდებს. რომელიც წარმოიქმნება არჩევანის უფლებიდან რომლებიც გონივრულად განსაზღვრულია.

პირველადი შეფასების შემდგომ, ვალდებულება შემცირდება გადახდებით და გაიზრდება დარიცხული პროცენტებით. შემდგომ შეფასებებში ხდება გადაფასებებისა და მოდიფიკაციების, ან ფიქსირებულ გადახდებში მომხდარი არსებითი ცვლილებების ასახვა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.10 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფის წესდებით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ) ხორციელდება ჯგუფის აქციონერების მიერ..

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.11 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებელ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.13 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად ჯგუფის აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.14 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან

ჯგუფი შემოსავლებს იღებს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია ჯგუფის მიერ გაცემული ფასდათმობები და სხვა მსგავსი ანარიცხები. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე, როდესაც დაკმაყოფილდება შესასრულებელი ვალდებულება დაპირებული საქონლის მომხმარებელზე გადაცემით.

ჯგუფი ახორციელებს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამას, რომლის ფარგლებში მომხმარებლებს ერიცხებათ ბონუს ქულები თითოეული შესყიდვის 5%-ის ოდენობით. ლოიალობის ქულები წარმოადგენენ ცალკე შესრულებად ვალდებულებას. შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია გაყიდვის მომენტში, ლოიალობის ქულების სავარაუდო ღირებულების გამოკლებით, რაც ამჟამად შეადგენს გაყიდვის ღირებულების 5%-ს. შესაბამისი შემოსავალი აღიარდება, როდესაც კლიენტი გამოიყენებს ლოიალობის ქულებს პროდუქციის შეძენისათვის.

საკონტრაქტო ვალდებულებები აღნიშნულ ბონუს ქულებთან დაკავშირებით ჩართულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
<i>თვითღირებულება</i>						
2022 წლის 31 დეკემბერი	28	1,164	245	263	9	1,709
შემოსვლა	-	240	37	28	-	305
გასვლა	-	(4)	-	-	-	(4)
2023 წლის 31 დეკემბერი	28	1,400	282	291	9	2,010
შემოსვლა	-	694	119	114	-	927
2024 წლის 31 დეკემბერი	28	2,094	401	405	9	2,937
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
2022 წლის 31 დეკემბერი	26	611	96	85	-	818
წლის ცვეთა	2	186	47	53	-	288
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(3)	-	-	-	(3)
2023 წლის 31 დეკემბერი	28	794	143	138	-	1,103
წლის ცვეთა	-	254	58	73	-	385
2024 წლის 31 დეკემბერი	28	1,048	201	211	-	1,488
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2023 წლის 31 დეკემბერი	-	606	139	153	9	907
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1,046	200	194	9	1,449

ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

ცვეთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ადმინისტრაციული ხარჯები	76	69
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები	309	219
	385	288

5 არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამუ ლი უზრუნველ ყოფა	უფლებები	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერი	176	49	33	258
შემოსვლა	53	-	-	53
2023 წლის 31 დეკემბერი	229	49	33	311
შემოსვლა	218	2	149	369
გასვლა			(90)	(90)
2024 წლის 31 დეკემბერი	447	51	92	590
დაგროვილი ამორტიზაცია				
2022 წლის 31 დეკემბერი	66	38	19	123
წლის ცვეთა	30	7	5	42
2023 წლის 31 დეკემბერი	96	45	24	165
წლის ცვეთა	20	-	26	46
ელიმინაცია	-	-	(2)	(2)
2024 წლის 31 დეკემბერი	116	45	48	209
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	133	4	9	146
2024 წლის 31 დეკემბერი	331	6	44	381

ამორტიზაციის ხარჯი 37 ათასი ლარის ოდენობით მიეკუთვნა ადმინისტრაციულ ხარჯებს (2023: 42 ათასი ლარი).

6 აქტივების გამოყენების უფლება

ათასი ლარი	მაღაზიები
თვითღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბერი	11,305
შემოსვლა - ახალი საიჯარო კონტრაქტები	1,689
შემოსვლა - იჯარის მოდიფიკაცია	582
2023 წლის 31 დეკემბერი	13,576
შემოსვლა - ახალი საიჯარო კონტრაქტები	6,184
შემოსვლა - იჯარის მოდიფიკაცია	604
2024 წლის 31 დეკემბერი	20,364
დაგროვილი ამორტიზაცია	
2022 წლის 31 დეკემბერი	7,261
წლის ცვეთა	2,838
2023 წლის 31 დეკემბერი	10,099
წლის ცვეთა	3,069
2024 წლის 31 დეკემბერი	13,168
საბალანსო ღირებულება	
2023 წლის 31 დეკემბერი	3,477
2024 წლის 31 დეკემბერი	7,196

ცვეთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები (იხ. შენიშვნა 16)	3,026	2,796
ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. შენიშვნა 17)	43	42
	3,096	2,838

აქტივების გამოყენების უფლება მოიცავს მაღაზიების იჯარებს 3 დან 10 წლამდე საიჯარო პერიოდით. ჯგუფის აქვს ასევე ოფისის იჯარა, 3 წლის ვადით.

7 მარაგები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	150	147
საქონელი	29,673	21,115
სხვა მარაგები	6	12
	29,829	21,274

ჯგუფის მთლიანი მარაგები დატვირთულია იპოთეკით დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,049	866
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(1)	(10)
სხვა მოთხოვნები	102	29
საგადასახადო აქტივი	29	-
	1,179	885
არაფინანსური აქტივები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	710	553
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,889	1,438

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

ჯგუფის მთლიანი მოთხოვნები დაგირავებულია დაკავშირებული მხარის სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

შესადარისი პერიოდებისთვის ჯგუფის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორებთან მიმართებით. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიშვება ისეთ მომხმარებლებთან, ვინც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან.

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ბალანსი, სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსთან მიმართებაში შემდეგნაირია:

ათასი ლარი	2024	2023
ზარალის რეზერვი წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(10)	(36)
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	-	-
წლის გამოუყენებელი და ამოტრიალებული ზარალის რეზერვი	9	27
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1)	(9)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23 ა) -ში. ხოლო საკრედიტო რისკი იხილეთ შენიშვნა 23 ბ) -ში.

9 გაცემული სესხები

2021 წლის 3 დეკემბერს ჯგუფმა გააფორმა საკრედიტო ხაზის სესხის ხელშეკრულება შპს გ.დ ალკოსთან, რომელიც არის დაკავშირებული მხარე. კონტრაქტის პირობები მოიცავს 10,000 ათასი ქართული ლარის ოდენობის ჯამურ ტრანშის, 13% წლიურ საპროცენტო განაკვეთს და ერთ წლიან ვადას. 2023 წელს კონტრაქტი ერთი წლით გახანგრძლივდა. 2023 წელს ჯგუფმა გასცა 1,550 ათასი ქართული ლარი, საიდანაც 3,980 ათასი ქართული ლარი დაფარულია. საანგარიშგებო წლისთვის ჯგუფმა გასცა 1,300 ათასი ქართული ლარი, საიდანაც 200 ათასი ქართული ლარი დაფარულია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ:

ათასი ლარი	მიმდინარე	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები - ძირი	1,470	370
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები - პროცენტი	15	9
	1,485	379

ათასი ლარი	დაფარვის ვადა	წლიური განაკვეთი (%)	ვალუტა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარე შპს გ.დ ალკო	25-ნოე-25	13.00%	ლარი	1,485	379

მიმდინარე წელს ჯგუფის მენეჯმენტს არ შეუქმნია რეზერვი გაცემული სესხებისთვის, რადგან არ არსებობდა გაუფასურების ზარალის ინდიკატორები ან ისეთი მოვლენები, რამაც შეიძლება ეჭვი შეიტანოს გაცემული სესხების ანაზღაურებაზე.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	გაცემული სესხი
2024 წლის 1 იანვარი	379
ფულადი ცვლილებები	
გაცემული სესხი	2,785
სესხის ძირის დაფარვა	(1,685)
სესხის პროცენტის დაფარვა	(150)
არაფულადი ცვლილებები	
დარიცხული პროცენტი	156
2024 წლის 31 დეკემბერი	1,485

საკრედიტო რისკი იხილეთ შენიშვნა 23 ბ) -ში.

10 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	278	271
საბანკო ანგარიშები	1,827	2,515
	2,105	2,786

ბანკებში არსებული არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო ბანკებში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვები არ არის აღიარებული. ბანკებში არსებული ნაშთები მოიცავს საქართველოს ბანკებში გახსნილ მიმდინარე ანგარიშებს და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის მიზნით.

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე ვალუტის მიხედვით იხილეთ შენიშვნა 23 ა)-ში.

11 კაპიტალი

11.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. მოცხადებული კაპიტალი მთლიანად არის განაღდებული. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

11.2 დივიდენდები

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ გაუცხადებია და არ გადაუხდია დივიდენდები.(2023: 3,158 ათასი ლარი).

12 იჯარა

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	3,057	1,083
გრძელვადიანი	4,732	2,481
	7,789	3,564

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული მატარებელი და ოფისის შენობა. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული ჯგუფის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ ექვემდებარება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში ჩართვას. ჯგუფი ახდენს სარგებლობის უფლებით ფლობილი აქტივების კლასიფიკაციას ისევე როგორც ძირითადი საშუალებები (იხ. შენიშვნა 6)

ყოველი იჯარა, როგორც წესი, აწესებს შეზღუდვას, რომ, თუ არ არსებობს ჯგუფის სახელმწიფოებო უფლება, ქვეიჯარით გადასცეს აქტივი სხვა მხარეს, აქტივის სარგებლობის უფლების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ჯგუფის. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში. ყველა იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას. ჯგუფის ეკრძალება ძირითადი საიჯარო აქტივების გაყიდვა, ან მისი უზრუნველყოფად გამოყენება. შენობებისა და მიწის იჯარის პირობების გათვალისწინებით, ჯგუფი უნდა შეინარჩუნოს ეს ქონება კარგ მდგომარეობაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ჯგუფის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

აქტივის გამოყენების უფლება	აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენი ლი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გახანგრძ ლივების უფლებით	იჯარების რაოდენობა ვადის შეწყვეტის უფლებით
შენობები	72	4 -119 თვე	37 თვე	72	72

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	(3,737)	(1,337)
ფინანსური ხარჯები	680	254
	(3,057)	(1,083)
ორიდან ხუთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	(5,330)	(2,665)
ფინანსური ხარჯები	830	347
	(4,500)	(2,318)
ხუთიდან ათ წლამდე		
საიჯარო გადახდები	(280)	(193)
ფინანსური ხარჯები	48	30
	(232)	(163)
წმინდა მიმდინარე ღირებულება	(7,789)	(3,564)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ისევე როგორც საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია ცალკე.

ცვლილებები ჯგუფის საიჯარო ვალდებულებებში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	ფინანსური იჯარა
1 იანვარი 2023	4,115
ფულადი ნაკადების მოძრაობა:	
ძირი თანხის გადახდა	(2,806)
პროცენტის გადახდა	(403)
არაფულადი ცვლილებები:	
იჯარის მოდიფიკაცია	582
ახალი კონტრაქტების საწყისი აღიარება	1,689
დარიცხული პროცენტი	403
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	(16)
31 დეკემბერი 2023	3,564
ფულადი ნაკადების მოძრაობა:	
ძირი თანხის გადახდა	(2,807)
პროცენტის გადახდა	(818)
არაფულადი ცვლილებები:	
იჯარის მოდიფიკაცია	604
ახალი კონტრაქტების საწყისი აღიარება	6,207
დარიცხული პროცენტი	818
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	221
31 დეკემბერი 2024	7,789

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

ჯგუფიმ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარისთვის, რომლის პერიოდი მოსალოდნელია 12 თვე, ან ნაკლები) და იჯარისთვის, რომელთან დაკავშირებულ აქტივსაც დაბალი ღირებულება აქვს. ამგვარ იჯარაზე გადახდილი თანხები აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვალებადი საიჯარო გადახდები, არ არის ნებადართული, რომ აღიარდეს როგორც საიჯარო ვალდებულება და გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული გადახდებთან, რომლებიც არ მოხვდა საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარა	1,080	863
იჯარა, დაბალი ღირებულების მქონე აქტივით	10	9
	1,090	872

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	14,869	11,844
საკონტრაქტო ვალდებულება	1,180	679
თანამშრომელთა სარგებელი	394	442
მიღებული ავანსები	19	13
საგადასახადო ვალდებულებები	-	226
სხვა ვალდებულებები	5	6
	16,467	13,210

საშუალო საკრედიტო პერიოდი საქონლის შესყიდვებზე არის 3 თვე (2023: 2.1 თვე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. ჯგუფის აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, იმაში დასაწმენდად, რომ ყველა ვალდებულება იხდება საკრედიტო დროის ჩარჩოში.

ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 23 ა-ში.

14 შემოსავალი

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია	61,402	55,289
სხვა შემოსავალი	1,553	1,635
	62,955	56,924

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ალკოჰოლური სასმელების თვითღირებულება	40,835	39,304

2024 და 2023 წლის წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია მიმწოდებლებისგან მიღებული ბონუსებითა და პროდუქციის შეცვლის დანახარჯებით შესაბამისად 16,652 ათასი ლარითა და 13,990 ათასი ლარით.

16 გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და სხვა დასაქმებულთა ბენეფიტები	4,716	3,991
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	3,026	2,796
საიჯარო ხარჯი	1,090	872
მარკეტინგის ხარჯი	716	558
საბანკო ხარჯი	678	642
კომუნალური ხარჯი	440	378
ცვეთა და ამორტიზაცია	309	219
დაცვის ხარჯი	66	55
საწვავის ხარჯი	43	38
	11,084	9,549

17 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და სხვა დასაქმებულთა ბენეფიტები	2,190	1,461
საგადასახადო ხარჯი	226	26
შეკეთების ხარჯი	224	112
კომუნალური ხარჯი	131	109
ცვეთა და ამორტიზაცია*	123	111
პროფესიონალური მომსახურების ხარჯი	90	37
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	43	42
დაზღვევის ხარჯი	23	20
წარმომადგენლობითი ხარჯი	11	17
საბანკო ხარჯი	10	5
მოთხოვნების ანარიცხების ცვლილება	(9)	(27)
სხვა ხარჯი	451	318
	3,513	2,231

18 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები საიჯარო შეთანხმებებზე	(818)	(403)
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	156	154
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(662)</u>	<u>(249)</u>

19 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	1	5
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(232)	16
	<u>(231)</u>	<u>21</u>

20 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიც მოახდენდა გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

21.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა გასაყიდ ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულებების გათვალისწინებით. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვის ფასები.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

მენეჯმენტი იყენებს შეფასების ტექნიკას ფინანსური ინსტრუმენტებისა (სადაც აქტიური ბაზრის კოტები არ არის ხელმისაწვდომი) და არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად. ეს გულისხმობს შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება იმას, თუ როგორ აფასებენ ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტს. მენეჯმენტი შეძლებისდაგვარად ემყარება თავის ვარაუდებს დაკვირვებად მონაცემებზე, თუმცა მსგავსი მონაცემები ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ შემთხვევაში მენეჯმენტი იყენებს ხელმისაწვდომ საუკეთესო ინფორმაციას. საკარაუდო სამართლიანი ღირებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი ღირებულებებისგან, რომელიც მიიღწევა ანგარიშგების თარიღისთვის ხელმისაწვდომ ტრანზაქციაში (იხ შენიშვნა 24).

21.2 საადრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალ მოვლენებზე მოლოდინების ჩათვლით, რაც სარწმუნოა, რომ გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით.

მომხმარებელთა ღირებულების პროგრამა

ჯგუფი ახორციელებს მომხმარებელთა ღირებულების პროგრამას, რომლის ფარგლებში მომხმარებლებს ერიცხებათ ბონუს ქულები თითოეული შესყიდვის 5%-ის ოდენობით. აღნიშნული ქულების გამოყენება შესაძლებელია მომავალში შესყიდვებზე ფასდაკლების სახით.

მენეჯმენტმა შეაფასა, რომ ღირებულების ქულები წარმოადგენენ ცალკე შესრულებად ვალდებულებას. შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია გაყიდვის მომენტში, ღირებულების ქულების სავარაუდო ღირებულების გამოკლებით, რაც ამჟამად შეადგენს გაყიდვის ღირებულების 5%-ს. აღნიშნული შეფასება ეფუძნება ისტორიულ მონაცემებს ქულების გამოყენების შესახებ და ასახავს მენეჯმენტის პროფესიულ განსჯას, რომ ღირებულების ვალდებულება შეიძლება სათანადოდ გაიზომოს და გათვალისწინებული იყოს ტრანზაქციის ფასში მისი წარმომადგენლობა.

22 ფინანსური ინსტრუმენტები

22.1 მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 22-ში.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,179	885
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	2,105	2,786
გაცემული სესხები	1,485	379
მთლიანი ფინანსური აქტივები	4,769	4,050

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
საიჯარო ვალდებულებები	7,789	3,564
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16,448	12,971
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	24,237	16,535

23 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის და საიჯარო ვალდებულებების გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული 2024 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და საბანკო ანგარიშები	104	67
	104	67
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	5,799	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51	-
	5,850	-
წმინდა პოზიცია	5,746	67

ერთეული 2023 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და საბანკო ანგარიშები	37	15
	37	15
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	2,850	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	79	2
	2,929	2
წმინდა პოზიცია	(2,892)	13

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 15% (2023: 15%) კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2023: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2023: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15% ით (2023: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2024	2023	2024	2023
მოგება/ზარალი	(862)	(434)	10	2

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი შესაძლოა აღმოჩნდეს საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, მათ შორის, ნაღდი ფულის, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფის მიზნებისთვის, ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკის მართვა საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულთან მიმართებაში ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი დანაკარგის რისკი გარდა იმ ანარიცხის რაც აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვალდამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2024	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ჯამი
ათასი ლარი			
საშუალო შეწონილი (%)		9.3%	
6 თვეზე ნაკლები	15,461	1,976	17,437
6 თვიდან 1 წლამდე	1,185	1,760	2,946
1-5 წლამდე	-	5,330	5,330
5 წელზე მეტი	-	280	280
	16,646	9,346	25,993

2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულება	ჯამი
ათასი ლარი			
საშუალო შეწონილი (%)		8.7%	
6 თვეზე ნაკლები	12,287	682	12,969
6 თვიდან 1 წლამდე	910	655	1,565
1-5 წლამდე	-	2,665	2,665
5 წელზე მეტი	-	194	194
	13,197	4,196	17,393

ლიკვიდურობის რისკის შეფასებით და მართვით ჯგუფი საზღვრავს მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან. ჯგუფის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულის გადინების მოთხოვნებს.

24 სამართლიანი ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

ანგარიშგების თარიღისთვის, ჯგუფის არ გააჩნია აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით.

25 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს ჯგუფის კაპიტალის საჭიროებას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით ჯგუფიმ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი მესაკუთრეებს, გამოუშვას ახალი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი განიხილავს სამართავ კაპიტალად წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	20,078	13,633
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(2,105)	(2,786)
კაპიტალი	17,973	10,847
მთლიანი კაპიტალი	20,078	13,633
იჯარა	7,789	3,564
სრული დაფინანსება	27,867	17,197
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.64	0.63

26 გაუთვალისწინებელი გარემოებები

26.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფის ამ ეტაპისთვის არ აქვს დაზღვეული უძრავი ქონება, ბიზნესის შეფერხების რისკები, ან მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა ქონების ან გარემოს დაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება მომხდარი უბედური შემთხვევის ან საოპერაციო საქმიანობის პროცესში. სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული

აქტივების დაკრგვას ან განადგურებას, ან გარემოსთვის ზიანის მიყენებას ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

26.2 გადასახადები

გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

27 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ჯგუფის ხელმძღვანელობა.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფს აკონტროლებს შპს „მარკეტიინ ინვესტმენტ“, რომელიც ფლობს ჯგუფის 90%-იან წილს. სიმონ ესართია, რომელიც ფლობს ჯგუფის 5.00%-იან წილს და ლევან ლანდია, რომელიც ფლობს ჯგუფის 5.00%-იან წილს.

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ტრანზაქციები		
მარაგებისა და მზა პროდუქციის შესყიდვა	58,246	40,645
საქონლის რეალიზაცია	114	54
საპროცენტო შემოსავალი	265	158
საპროცენტო ხარჯი	-	2

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,273	2,673
გაცემული სესხები	1,485	539
ინვესტიცია შვილობილ ჯგუფში	1,839	-
საიჯარო ვალდებულებები	180	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	5

27.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	146	131

მმართველობის ანგარიშგება

სუბიექტის ბიზნესის განვითარება, შედეგები და პოზიცია

შპს ალკორითილ გრუპი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2017 წლის 11 სექტემბერს, მისი მიზანია საქართველოში ალკოჰოლური სასმელების საცალო დისტრიბუცია. იგი არის ალკოჰოლის სპეციალიზირებული ყველაზე დიდი საცალო ქსელის "ალკორითის", სპირტიანი სასმელების სპეციალიზირებული ბუტიკის "ვისკის სახლის" და „ღვინის ბარის“ ოპერატორი საქართველოს ბაზარზე.

შპს ალკორითილ გრუპს ჰყავს ერთი შვილობილი ჯგუფი – შპს „ევერკრაფტ ინტერნეიშენალი“, რომელიც დაარსებულია მშობელი კომპანიის მიერ.

შვილობილის დასახელება	დაარსების ქვეყანა და საქმიანობის ადგილი	დაარსების თარიღი	მთავარი საქმიანობა	ჯგუფის მფლობელობაში არსებული წილის პროცენტი	
				2024	2023
შპს ევერკრაფტ ინტერნეიშენალი	საქართველო	25-ივლისი-2023	ღვინის პროდუქციის საცალო გაყიდვა	90%	90%

უკვე 7 წელია, რაც ჯგუფი ოპერირებს პრემიუმ ხარისხის სპირტიანი სასმელების ბაზარზე საქართველოში. 2024 წელს ჯგუფმა დააფიქსირა 62,955 ათასი ლარის შემოსავალი. მთლიანი მოგების მარჟამ 2024 წელს 35.0% შეადგინა. დასაქმებულთა რაოდენობა არის 321.

ჯგუფის სტრატეგია:

- მომხმარებლის გამოცდილების უწყვეტი გაუმჯობესება და ინვესტირება თანამშრომელთა განვითარებაში, ჩართულობასა და შენარჩუნებაში.
- ჩვენი მომხმარებლების და სავაჭრო პარტნიორების მაქსიმალურად მაღალი ხარისხის დამატებითი მომსახურებებით უზრუნველყოფა თანამედროვე საინფორმაციო სისტემებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების და მათი განვითარების საშუალებით;
- ბაზრის წილის შენარჩუნება და ზრდა პორტფელის მენეჯმენტისა და სამომხმარებლო ტენდენციების იდენტიფიკაციის გზით;
- ჩვენი პოზიციის განმტკიცება ბაზარზე, უნაკლო მარკეტინგისა და სავაჭრო-მარკეტინგული მომსახურების უზრუნველყოფით;
- თანამშრომლების დაფასება და გაძლიერება, საჭირო რესურსების უზრუნველყოფა მათი პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობად, სხვადასხვა ბექგრაუნდების მქონე ახალი ტალანტების მოზიდვა, ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდუალურ დისციპლინას და გუნდურ მუშაობას;
- ადგილობრივი სავაჭრო პარტნიორების განვითარების ხელშეწყობა;
- ალკოჰოლური სასმელების ელექტრონული კომერციის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და წამყვანი პოზიციის შენარჩუნება

სუბიექტის სამომავლო განვითარების გეგმები

2025 წელს ჯგუფი გეგმავს რამდენიმე პროექტის განხორციელებას, მათ შორის:

- არსებული საცალო სავაჭრო ობიექტების ფიქსირებული ხარჯების ოპტიმიზაცია და ახალი მაღაზიებისთვის რისკების შეფასების თანამედროვე ინსტრუმენტების დანერგვა
- მარაგების დაგეგმვისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა
- ბაზრის კვლევის ჩატარება
- ახალი ბრენდების გაშვება და არსებულ პორტფელში მარაგების აღრიცხვის ერთეულების სპექტრის ოპტიმიზაცია
- ალკოჰოლის ნიშა კატეგორიების განვითარების მხარდაჭერა
- სამომხმარებლო და მომხმარებელთა საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება

- ადგილობრივი სავაჭრო პარტნიორების განვითარების ხელშეწყობა
- ახალი კატეგორიის განვითარების არხების შემუშავება კორპორატიული გაყიდვებისა და ელექტრონული კომერციის საშუალებით
- ბრენდის წიგნების, ბრენდის სურათების და ვიზუალური იდენტობის განახლება

სუბიექტის მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

ჩვენი გუნდის მიერ ჩატარდა რამდენიმე ადგილობრივი კვლევითი პროექტი პრემიუმ ხარისხის სპირტიანი სასმელების კატეგორიაში. ჯგუფმა განახორციელა ორგანიზაციული განვითარების კვლევა საკონსულტაციო კომპანიის მეშვეობით, თავისი სტრუქტურისა და ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით. გარდა ამისა, ჯგუფი მუდმივად აკვირდება კონკურენტების საქმიანობას და ფასების ყოველთვიურ ინფლაციას მთლიან ბაზარზე.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ფილიალები.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს ჯგუფს არ შეუძენია საკუთარი აქციები.

მთავარი არა-ფინანსური ინდიკატორების ანალიზი შემდეგნაირია:

მთავარი არა-ფინანსური ინდიკატორების ანალიზი შემდეგნაირია:

		2024	2023
1	შემოსავალი	62,955	56,924
2	მთლიანი მოგება	22,120	17,620
3	მოგება საშემოსავლო გადასახადამდე	6,445	4,989
4	მთლიანი მოგების მარჟა	35.0%	31.0%

რელევანტურობის სხვა ინდიკატორები შემდეგნაირია:

		2024	2023
1	პროდუქტების რაოდენობა პორტფელში (საშუალო)	3,660	4,200
2	პერსონალის რაოდენობა (საშუალო)	321	288
3	აქტიური მომხმარებლების რაოდენობა (საშუალო)	56,500	53,000

სუბიექტის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდურობის და ფულადი საშუალებების მოძრაობის რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

ჯგუფის გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება ნაღდი ფულის გადახდის პირობებით. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ ჯგუფს გააჩნია მუდმივი ფულადი ნაკადები თავისი ლიკვიდურობის მოთხოვნების და მომწოდებლების მიმართ ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ჯგუფის მომწოდებლების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი კომპანიებია. ამ მომწოდებლებთან საკრედიტო პირობები არ არის განსაზღვრული გადახდის ზუსტ დღეებზე. ჯგუფი მტკიცედ ინარჩუნებს პოლიტიკას, რომ მის მომწოდებლებს ყოველთვიურად გადაუხადოს გაყიდული საქონლის შესყიდვის ღირებულება. გარდა ამისა, ჯგუფი ყიდულობს სხვადასხვა ნიმუშ პროდუქტს 10-მდე უცხოელი მომწოდებლისგან, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები. ამ მომწოდებლებთან შეძენის პირობები იყოფა 2 თვიან კრედიტსა და წინასწარ გადახდას შორის, თუმცა მისი წილი მთლიან საფონდო ღირებულებაში არის <10%, ამდენად ის არ უქმნის მნიშვნელოვან რისკებს ლიკვიდურობისთვის.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის კუთხით

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უკავშირდება შემდეგს:

	რისკის და გაურკვევლობის განმარტება	მენეჯმენტის პასუხი
1	სავალუტო რისკი - მაღაზიების საიჯარო ხარჯების ძირითადი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია, თუმცა გაყიდვები ადგილობრივ ვალუტაში ხორციელდება. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი.	ჯგუფი მუდმივ მოლაპარაკებებს აწარმოებს მეიჯარეებთან, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა მის ბიზნესზე იმით, რომ სთავაზობს გაყიდვებზე მიბმულ საიჯარო პირობებს უცხოურ ვალუტაში ფიქსირებული პირობების ნაცვლად.
2	პოლიტიკური რისკი - არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პროდუქციაზე მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება პოლიტიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს, განვითარებას, პოტენციური განვითარების პროგნოზირებისა და საჭირო და ადეკვატური ცვლილებების განხორციელების მიზნით.
3	რეგულაციების რისკი - ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქციზის გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ალკოჰოლური სასმელების დისტრიბუციასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებული შემდგომი რეგულაციების შესახებ მუდამ კეთდება მინიშნებები.	მდგრადი მრავალარხიანი ბიზნეს-მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ზრდას და რეგულაციების ცვლილებების შესრულებას.
4	ფასების ომების რისკი - საცალო ვაჭრობის სექტორში მზარდი კონკურენციის გამო, კატეგორიის ლიდერებისთვის ფასების ომების მუდმივი რისკი არსებობს.	მენეჯმენტი აკონტროლებს ყველა ძირითად საცალო ვაჭრობის ფასს და პრომო პოლიტიკას, ყურადღებით გეგმავს და ახორციელებს სტრატეგიებს შესაძლო სცენარებისთვის, ინარჩუნებს ფასების უპირატესობას მომწოდებლებთან მიმართებაში დომინანტური მსყიდველობითი უნარის მეშვეობით.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ივნისს:

რევაზ ფერაძე

დირექტორი

h. ზეზუაძე

ნინო კობახიძე

მთავარი ბუღალტერი

ნ. კობახიძე